სსიპ კოლეჯ „მოდუსის“ ხარისხის მართვის მენეჯერის 2023 წლის წლიური ანგარიში

\

დაწესებულების სახელწოდება	**სსიპ კოლეჯი „მოდუსი“**
ხარისხის სამსახურის ჯგუფის შემადგენლობა	**ხარისხის მართვის მენეჯერი:** მადონა გოგობერიშვილი **სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგის სპეციალისტი:** ქეთევან გურგენიშვილი

ინფორმაცია დაწესებულებაში განსახორციელებელი ყველა მოდულური პროგრამების განხორციელების შესახებ

კოლეჯში მიმდინარე პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადება/გადამზადების პროგრამები				
N	**პროგრამის სახელწოდება**	**დონე**	**ფორმა**	**ჯგუფების რაოდენობა**
	რუსთავი			
1.	**ელექტროობა**	**მესამე**	**მოდულური**	**2**
2.	**თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი**	**მესამე**	**მოდულური**	**1**
3.	**სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაცია**	**მესამე**	**მოდულური**	**2**
4.	**შედუღება**	**მესამე**	**მოდულური**	**1**
5.	**მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება**	**მესამე**	**მოდულური**	**1**
6.	**მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება**	**მესამე**	**მოდულური**	**1**

7.	ავტოსატრანსპორტო საშუალებების ღებვა	მესამე	მოდულური	1
8.	მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება	მესამე	მოდულური	1
9.	ვებტექნოლოგიები	მეოთხე	მოდულური	1
10.	ვებტექნოლოგიები	მეოთხე	მოდულური ინტეგრირებული	1
11.	სამკერვალო წარმოება	მესამე	მოდულური	2
12.	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა	მესამე	მოდულური	2
13.	კომპიუტერული ქსელი და სისტემები	მეოთხე	მოდულური ინტეგრირებული	1
14.	კომპიუტერული ქსელი და სისტემები	მეოთხე	მოდულური	1
15.	მებაღეობა	მეოთხე	მოდულური	2
16.	აღმზრდელი	მეხუთე	მოდულური	2
17.	ბუღალტრული აღრიცხვა	მეხუთე	მოდულური	2
18.	კულინარიის ხელოვნება	მესამე	მოდულური	2
19.	თმის მომსახურება	მესამე	მოდულური	2
	მარნეული			

სსიპ კოლეჯ „მოდუსის“ ხარისხის მართვის მენეჯერის 2023 წლის წლიური ანგარიში

1.	ელექტროობა	მესამე	მოდულური	1
2.	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა	მესამე	მოდულური	2
3.	მებოსტნეობა	მესამე	მოდულური	1
4.	მეხილეობა (იტეგრირებული)	მეოთხე	მოდულური/ინტეგრირებული	1
5.	მეხილეობა	მეოთხე	მოდულური	1
6.	აღმზრდელი	მეხუთე	მოდულური	2
7.	სამკერვალო წარმოება	მესამე	მოდულური	1
8.	ბუღალტრული აღრიცხვა	მეხუთე	მოდულური	2
მომზადება / გადამზადების პროგრამები				
1.	ქართული და უცხოური კერძების მომზადება	მესამე	სახელმწიფო პროგრამა	2
2.	ხელით ელექტრორკალური შედუღება	მეოთხე	სახელმწიფო პროგრამა	4
3.	სააღმზრდელო პროცესების წარმართვა სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში	მეოთხე	სახელმწიფო პროგრამა	5
4.	ქართულენოვანი ტურისტული მეგზური (მარნეული)	მეოთხე	სახელმწიფო პროგრამა	2
5.	ტურისტული მეგზური (ქართულენოვანი)	მეოთხე	სახელმწიფო პროგრამა	2
6.	ქალის მსუბუქი ტანსაცმლის კონსტრუირება-კერვა	მესამე	სახელმწიფო პროგრამა	2

7.	მამაკაცის ზედა პერანგისა და შარვლის კონსტრუირება -კერვა	მესამე	სახელმწიფო პროგრამა	1
8.	ელექტრომემონტაჟე	მესამე	სახელმწიფო პროგრამა	2
9.	ლიფტების ტექნიკური მომსახურება და რემონტი	მეოთხე	სახელმწიფო პროგრამა	1
10.	დეკორატიული მცენარეების გამრავლება	მესამე	სახელმწიფო პროგრამა	1
11.	დეკორატიული მცენარეების სხვლა-ფორმირება	მესამე	სახელმწიფო პროგრამა	1

ჩატარებული ანალიზის ძირითადი თემები	მტკიცებულებები:
1. მასწავლებლის კითხვარის ანალიზი მოდულების მიხედვით	
გამოკითხული მასწავლებლების ზოგადი შეფასება - 2023 წლის საანგარიშო პერიოდში გამოიკითხა კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებელა 70 % და შეივსო 78 კითხვარი „მასწავლებლისათვის სასწავლო პროცესის ხარისხთან დაკავშირებით“. გამოკითხულია მასწავლებლები შემდეგ პროგრამებზე: ელექტროობა, კულინარია, მებოსტნეობა, ინფორმციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა, სავალი ნაწილის შეკეთება, კომპიუტერული ქსელი და სისტემები, ბუღალტრული აღრიცხვა, მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება, სანტექნიკური სისტემების ექსპლუატაცია. **მონაცემები შემდეგნაირად გადანაწილდა:** • გამოკითხული პროფესიული მასწავლებლების 84.5% სისტემატურად ეცნობა კოლეჯის ვებ-გვერდს (www.modusi.ge), ნაკლები სიხშირით - 15.5%; 94,8% იცნობს და იზიარებს კოლეჯის მისიას, ხედვას და ღირებულებებს, 58.6% იცნობს სტრატეგიული განვითარების და მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმას, 36% ნაწილობრივ, ხოლო 3% არ იცნობს ან უჭირს პასუხის გაცემა. • გამოკითხულთა 87.8% სრულად იცნობს მოდულურ პროგრამას და პირადად მონაწილეობდა სასწავლო გეგმის შემუშავების (30%) და კალენდარული გეგმის შემუშავების პროცესში (89.2%). • პროფესიული მასწავლებლების 51% მოახდინა სასწავლო გეგმის და სწავლის შედეგების	მასწავლებელთა შევსებული კითხვარები

ადაპტირება სსსმ სტუდენტებზე, დანარჩენ პროფესიულ მასწავლებლებს, ჯგუფში არ ერიცხებათ სსსმ სტუდენტი. - კვლევაში მონაწილე პროფესიული მასწავლებლების 82.5% მიიჩნევს, რომ მოდულის ნაწილები არ საჭიროებენ დამატებით დაკონკრეტებას, ხოლო 19% მიიჩნევს, რომ გარკვეული მოდულების ნაწილებს ესაჭიროებათ დაკონკრეტება. ასევე, 3.4% მიიჩნევს, რომ საჭიროა მოდულის თემატიკის შეცვლა/დამატება/შემცირება. - პროფესიული მასწავლებლების 98.3% მიიჩნევს, რომ მოდული აღჭურვილია საჭირო ინვენტარით და აღჭურვილობით. **1.7% კი მიიჩნევს, რომ მოდულისთვის აღჭურვილობა არასაკმარისია.** - პროფესიული განათლების მასწავლებლების 58.6% მოდულური სწავლების ეფექტიანად წარმართვის მიზნით, არ საჭიროებს რაიმე საკითხებზე დამატებით ტრეინინგს/ კონსულტირებას. - გამოკითხულთა 74,1% აქვს მოდულის ანალოგიური სწავლის შედეგების მქონე კურსის სწავლების გამოცდილება, 80% გავლილი აქვს პროფესიული/დარგობრივი ან სხვა ტიპის ტრენინგები, როგორიცაა - პროფესიულ მასწავლებელთა პედაგოგიური პროგრამის სრული კურსი, ტრენინგები - შეფასების სისტემის, კალენდარული გეგმის, ვერიფიკაცია/ვალიდაციის ფორმების და მოდულური სწავლების პრინციპების შესახებ, - **სწავლების ეფექტიანად წარმართვის მიზნით, დამატებითი ტრეინინგის/ კონსულტირების სურვილი გამოთქვა მასწავლელების 10%-მა, განსაკუთრებით მათი აზრით, ახალი მიდგომებთან დაკავშირებით, მუდმივად საჭიროა კონსულტირება/ტრენინგები;** - **ასევე საჭიროა ტრენინგები პროფესიის მიხედვით კვალიფიკაციის ამაღლებისა და შეფასების მეთოდოლოგიის მიმართულებით და სასურველია უცხოური პრაქტიკის გაზიარება** **მასწავლებლები ადასტურებენ, რომ** - მოდულის სტრუქტურა და მოდულის შინაარსი გასაგებია; - მოდულის წინაპირობები შესაბამისია, - კალენდარული გეგმის შემუშავებისას გაითვალისწინებულია მოდულის დამხმარე ჩანაწერები; - რეკომენდებული თემატიკა შეესაბამება მისაღწევ სწავლის შედეგებს; - მოდულში გაწერილი მტკიცებულებები შეესაბამება სწავლის შედეგებს;	

- მოდულის საათების ჯამური რაოდენობა საკმარისია დაგეგმილი სწავლის შედეგების მისაღწევად; - მოდულები უზრუნველყოფილია საჭირო აღჭურვილობით და ინვენტარით; - მოდულები უზრუნველყოფილია საჭირო მასალებით; - მოდულები უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო რესურსებით (სახელმძღვანელოები, ინტერნეტრესურსები). **მასწავლებლების მხრიდან შედარებით ნაკლები აქტივობა დაფიქსირდა:** - სასწავლო გეგმების შემუშავებაში; - მოდულების ადაფტირებაში; - მოდულის ანალოგიური სწავლის შედეგების მქონე კურსის სწავლებაში; **გამოკითხული მასწავლებლებისთვის:** - მისაღებია მოდულის სტრუქტურა; - გასაგებია მოდულის შინაარსი; - არ საჭიროებს მოდულის ნაწილების დამატებით დაკონკრეტებას/განმარტებას; - უმეტესად სწორადაა განსაზღვრული მოდულის გავლის წინაპირობები; **<u>მასწავლებლების კომენტარები:</u>** **<u>მეხილეობა/მებოსტნეობა - თამარ ახალაძე</u>** - საჭიროა ვერბ-გვერდზე ინფორმაციის განახლება ინტენსიურად; - ზოგიერთი მოდულის შემთხვევაში, სასურველია თემატიკის განახლება ახალი მასალებით; - ინვენტარი/მასალები კოლეჯში არის, თუმცა ხელმისაწვდომობის პრობლემაა, - ახალი მიდგომებთან დაკავშირებით, მუდმივად საჭიროა კონსულტირება/ტრენინგები - სასურველია, მსმენელები ფლობდნენ ქართულ ენას, შერჩევის დროს ყურადღება მიექციოს მოტივირებული, მიზანდასახული მსმენელების მობილიზებას. **<u>ქართული ენა A2 - ნანა ნადირაძე</u>** - სასურველია ქართული ენის საათების გაზრდა, რადგან საათების რაოდენობა არ არის საკმარისი ენის შესასწავლად.	

სსიპ კოლეჯ „მოდუსის“ ხარისხის მართვის მენეჯერის 2023 წლის წლიური ანგარიში

<u>აღმზრდელი - ლეილა მირზოევა</u> - სასურველია წიგნების მატერიალური სახით არსებობა. **<u>ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა - რუსლან ზედგენიძე (მარნეული)</u>** - ზოგიერთი თემები უკვე დაძველებულია და ესაჭიროება განახლება. მაგ: Windows 11-ის ფუნქციები. საჭიროა განახლება ახალი გამოშვებული პროგრამების თანახმად. - აქტუალურია პროგრამაში ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემების საფუძვლების დამატება. **<u>მებაღეობა - ნუგზარ ძნელაშვილი</u>** - სასურველია უცხოური პრაქტიკის მოსმენა/გაზიარება მცენარის სხვლა-ფორმირების პრაქტიკასთან დაკავშირებით. **<u>მეწარმეობა - ნინო შევარდენიძე</u>** - მეწარმეობა 1-ის მოდული საჭიროებს გადახედვას, დამოუკიდებელი საათების რაოდენობა არის ბევრი. **<u>სამოქალაქო განატლება - სოფიო პერანიძე</u>** - სამოქალაქო განათლების მესამე სწავლის შედეგი საჭიროებს განმარტებას და ტრენინგს პროექტის განხორციელების შესახებ. - დიდი სურვილი მაქვს სტუდენტები ჩავრთო სხვადასხვა აქტივობებში (დავასწრო შეხვედრებს სამოქალაქო უფლებებთან, აქტივიზმთან დაკავშირებით, ასევე დავასწრო ადგილობრივ სხდომებს. მინდა კოლეჯში სამოქალაქო კლუბის ჩამოყალიბება. **მიგნებები:** - <u>მოდულური სწავლების ეფექტიანად წარმართვის მიზნით, პედაგოგები საჭიროებენ დამატებით ტრენინგს შეფასების ინსტრუმენტების გაუმჯობესების მიმართულებით, განსაკუთრებით ინტეგრირებული მოდულების მასწავლებლები და ახალი პედაგოგები;</u> - <u>გამოიკვეთა დამატებითი საჭიროება მასწავლებელების ინფორმირების თაობაზე, რადგან მათი თითქმის 50% სრულფასოვნად არ იცნობს კოლეჯში მიმდინარე პროცესებს, შესაბამისად, საჭიროა გაცნობითი ხასიათის საინფორმაციო შეხვედრები როგორც რუსთავში, ისე მარნეულში კოლეჯში მიმდინარე პროცესებთან, დაკავშირებით. თემები: შუალედური გამოცდების დანერგვა, შუალედური შეფასების</u>	

<u>ინსტრუმენტების მომზადება, შეფასების პროცესის სრული დიჯიტალიზაცია, ელექტრონული არქივის შექმნა, პროფესიულ სტანდარტებში ცვლილებებთან პროგრამების ცვლილებების განხორციელება და ა.შ.</u> - <u>ასევე გამოიკვეთა სხვადასხვა პროგრამების მოდულებში (შედეგებში) ცვლილებების განხორციელების საჭიროება და მოდულების საგანმანათლებლო რესურსებში ცვლილებების განხორციელება</u> - <u>უკლებლივ ყველა მოდულის პედაგოგი მზადაა მიიღოს სიახლეების დანერგვაში მონაწილეობა, აიმაღლოს კვალიფიკაცია</u> .	
2. სტუდენტთა კითხვარების ანალიზი	
- გამოკითხული სტუდენტების 61.35% კოლეჯის ვებ-გვერდს ეცნობა სისტემატურად, 38.7% ნაწილობრივ, ხოლო 3.1% არ ეცნობა კოლეჯის ვებგვერდს სისტემატურად. - პროფესიული სტუდენტების 67.7% სრულად იზიარებს კოლეჯის მისიას, ხედვას და ღირებულებებს, რომელიც განთავსებულია კოლეჯის ვებ გვერდზე. - კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმას იცნობს სტუდენტების 58/1%, სამოქმედო გეგმას 38/7%, - კვლევაში მონაწილე პროფესიული სტუდენტების 80.8% იცის რას ნიშნავს მოდულური სწავლება და იციან, როგორ შეფასდება მათი მიღწევები მოდულის/პროგრამის ფარგლებში. - სტუენტებმა იციან როგორ მოხდება მათი მიღწევების შეფასება მოდულის/პროგრამის ფარგლებში და მიღწეული შედეგები გამოადგებათ თუ არა მომავალ პროფესიულ საქმიანობაში - 93/5%. - 87.1% არ ეთანხმება დებულებას, რომ კოლეჯში პროგრამით გათვალისწინებული მოდულები სისტემატურად ცდება. 11.4% მიიჩნევს რომ იშვიათად ცდება, ხოლო სხვებს უჭირთ პასუხის გაცემა. - პროფესიული სტუდენტების 61 % მიიჩნევს, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელი გასაგებად ხსნის მასალას და სწავლის პროცესში იღებენ საჭირო დახმარებას/კონსულტაციას, 87.1% თვლია, რომ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია (სასწავლო ცხრილები, შეფასება, მობილობა) ხელმისაწვდომია, საგაკვეთილო პროცესი მიმდინარეობს დინამიურად, პროფესიული განათლების მასწავლებელი იყენებს მაგალითებს და ილუსტრაციებს მასალის ნათლად გადმოსაცემად და შეკითხვებს პასუხობს ამომწურავად. - სტუდენტების მხოლოდ 64% თვლის. რომ მოდულზე გათვალისწინებული საათები საკმარისია პრაქტიკული უნარების დასაუფლებლად	სტუდენტთა შევსებული კითხვარები

- კვლევაში მონაწილე პროფესიული სტუდენტების 100% მიიჩნევს, რომ კოლეჯში შეფასების პროცესი ობიექტურია. - სტუდენტების 80.6% მიიჩნევს, რომ სასწავლო რესურსები სახელმძღვანელოები/ინტერნეტ-რესურსები/საბიბლიოთეკო სივრცე/ მათთვის ხელმისაწვდომია და სრულად აკმაყოფილებენ სწავლის საჭიროებებს (72.9%). - კვლევაში მონაწილე პროფესიული სტუდენტების 97 % მიიჩნევს, რომ სასწავლო მასალები საკმარისია მოდულის სწავლებისთვის და სასწავლო აუდიტორიები (ლაბორატორიები, სახელოსნოები) მოდულის მიზნების შესაბამისადაა აღჭურვილი. <u>ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს საინჟინრო მიმართულების პროფესიული სტუდენტები, რომელთა აზრით, საამქროს ტერიტორიაზე თეორიული მოდულების მოსმენა რთულია, რადგან კედლები არ არის ბოლომდე აყვანილი და სხვა პრაქტიკული სამუშაოების სივრცეებიდან გამოდის ხმაური.</u> <u>ასევე, სამკერვალო წარმოების პროფესიული სტუდენტების აზრით, ავერლოკის მანქანები არ მუშაობენ გამართულად, რაც მათთვის ერთ-ერთ ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს სასწავლო პროცესში.</u> - გამოკითხული პროფესიული სტუდენტების მხოლოდ 32% იცნობს სტუდენტური კავშირის დებულებას, 50%-ზე მეტს არ მიუღია მონაწილეობა ან ნაწილობრივ არის ჩართული სტუდენტურ აქტივობებში., საერთო ჯამში სტუდენტური სერვისების ეფექტიანობის მაჩვენებელი 30%-35% მერყეობს. - ***<u>სტუდენტების გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა შემდეგი გასაუმჯობესებელი საკითხები:</u>*** - სტუდენტების ინფორმირებულობა კოლეჯში მიმდინარე პროცესებში მათი უფრო მეტად ჩართულობის უზრუნველყოფა, საჭიროა შეხვედრების ორგნიზება კოლეჯში მიმდინარე სხვადასხვა პროცესების განხილვის მიზნით; - სტუდენტური სერვისების გაქტიურება- სტუდენტური კავშირის ქმედითუნარიანობის ამაღლება რადგან ვერ ჩატარდა არჩევნები და ამჟამად მოქმედი სტუდენტური კავშირის საქმიანობა შეფერხებულია, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ახალი ფორმატის შექმნა სტუდენტური ჯგუფების გააქტიურების მიზნით, **მიგნებები: საჭიროა** ✓ **სტუდენტებთან შეხვედრების დაგეგმვა კოლეჯში მიმდინარე პროცესებზე მათი ინფორმირების მიზნით;**	

✓ **სტუდენტური სერვისების გააქტიურება, ახალი სტუდენტური ორგანიზაციის დაფუძნება და სტუდენტური აქტივობების/ღონისძიებების გეგმის შემუშავება;** ✓ **ასევე შეძლებისაგვარად სტუდენტური სერვისების ინტერნაციონალიზაცია, საერთაშორისო პროექტებში სტუდენტების ჩართვის მიზნით, სხვადასხვა საჭირო აქტივობების დაგეგმვა (რაც უკვე განხორციელდა ერთი პროგრამის „კულინარიის „ კურსდამთავრებულებისთვის;** ✓ **სასწავლო სივრცეების შეძლებისდაგვარად ოპტიმიზაცია ახალი კორპუსის სივრცეების გათვალისწინებით.**	
3. მეცადინეობაზე/შეფასების პროცესზე დასწრების ანალიზი	
შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ 2023 წლის საანგარიშო პერიოდისთვის განხორციელდა 38 დასწრება საგაკვეთილო პროცესებზე რუსთავში და 15 მარნეულში (ჯამში 55). აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის ჯგუფი კოლეჯში მიმდინარე სასწავლო - საგაკვეთლო პროცესს ძირითადად დადებითად აფასებს. პროფესიული განათლების მასწავლებლები სასწავლო პროცესს წარმართავდნენ სასწავლო გეგმების/კალენდარული გეგმების შესაბამისად და იყენებდნენ მოდულის სტანდარტული ჩანაწერების შესაბამის სწავლებისა და შეფასების მეთოდებს. სასწავლო პროცესი ძირითადად მიმდინარეობდა ინტერაქციულ რეჟიმში თუმცა, ამავდროულად მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა ძირითადი გასაუმჯობესებელი ტენდენციები, რაზეც მონიტორინგის ჯგუფმა გასცა შემდეგი რეკომენდაციები: • პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სტუდენტის დაწრების არ აღეიცხვა (ხშირად მასწავლებლები არ აღრიცხავენ „არებს“ბოლო გაკვეთილამდე); • საგაკვეთილო პროცესში პროფესიული სტუდენტების სრული ჯგუფის ჩართულობის ნაკლებობა, განსაკუთრებით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისადმი ინტერაქტიული კომუნიკაციის ნაკლებობა; • პროფესიული სტუდენტების მიერ ინიციატივების გამოჩენის ნაკლებობა; • სწავლების მეთოდების მრავალფეროვნების სიმწირე, ხშირად პროფესიული განათლების მასწავლებლები ჯგუფთან არ იყენებდნენ რეფლექსიას. • სასწავლო რესურსისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების სიმწირე; • სასწავლო სივრცეებში სადემონსტრაციო კუთხეების ნაკლებობა; • სამშენებლო მიმართულებით არსებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე	საგაკვეთილო პროცესზე დასწრების ოქმები

მონიტორინგის დროს გამოიკვეთა, რომ სწავლების პროცესში ნაკლებად ექცეოდა ყურადღება შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვას (კერძოდ: პროფესიულ სტუდენტებს არ ეცვათ სპეციალური ტანსაცმელი, ხელთათმანი და ჩაფხუტი). ▪ რიგ შემთხვევებში, პროფესიული განათლების მასწავლებლები გაკვეთილებს არ ატარებდნენ ცხრილით განსაზღვრულ აუდიტორიებში და თვითნებურად ცვლიდნენ აუდიტორიებს; ▪ რამდენიმე პროფესიული განათლების მასწავლებელს მონიტორინგის ჯგუფის დასწრების დროს, წარმოდგენილი ჰქონდა როგორც კალენდარული გეგმა, ისე გაკვეთილის გეგმა. გამომდინარე იქიდან, რომ გაკვეთილის გეგმის წარმოდგენაზე არ არის ოფიციალური მოთხოვნა, პროფესიული განათლების მასწავლებელების უმრავლესობას არ ჰქონდა წარმოდგენილი გაკვეთილის გეგმა. **რეკომენდაციები:** ▪ <u>პასიური სტუდენტების გააქტიურების მიზნით, მნიშვნელოვანია მასწავლებლებმა გაითვალისწინონ მათი, როგორც ინდივიდუალური თავისებურებები, ისე სასწავლო ინტერესები და სწავლების მეთოდიების მრავალფეროვნება. სტუდენტზე ორიენტირებული და მათ აქტიურობაზე დაფუძნებული მიზნობრივად შერჩეული სტრატეგიები სწავლებაში საგრძნობლად შეუწყობს ხელს საგაკვეთილო პროცესში ჩართულობას და ინტერაქციას.</u> ▪ <u>**სასუველია პროფესიული განათლების მასწავლებელმა, ჯგუფისთვის პრაქტიკული დავალების მიცემისას, უზრუნველყოს დავალებების იმგვარად გადანაწილება/ჩაშლა, რომ ჯგუფის თითოეული წევრი ჩართული იყოს პრაქტიკული დავალების შესრულების პროცესში და არ მოუწიოს პასიურ რეჟიმში ყოფნა.**</u> ▪ <u>პროფესიული სტუდენტის ინიციატივიანობის ამაღლების ერთ-ერთი საშუალებაა სტუდენტთა ჩართულობის წახალისება, პროფესიული განათლების მასწავლებელმა სხვადასხვა მეთოდებით (შეკება, სახელით მიმართვა კონკრეტული სტუდენტისადმი) უნდა შეძლოს პასიური სტუდენტების ჩართვა და შედარებით აქტიური სტუდენტების დაბალანსება, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს საგაკვეთილო პროცესის წარმატებას და ხელს შეუწყობს, როგორც სტუდენტთა ჩართულობის ზრდას, ისე შესასწავლი თემის უკეთ გაგებას და გააზრებას.;</u> ▪ <u>საგაკვეთილო პროცესის გამრავალფეროვნების მიზნით, **მასწავლებლებმა** აქტიურად **უნდა** გამოიყენონ მოდულით გათვალისწინებული სასწავლო რესურსი და თანამედროვე ტექნოლოგიები;</u> ▪ <u>სამშენებლო მიმართულების პროგრამების განმახორციელებლებთან უმოკლეს პერიოდში შედგეს საინფორმაციო შეხვედრა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტების და სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის</u>	

<u>მენეჯერის ჩართულობით, სადაც გახილული იქნება სტუდენტთა უსაფრთხოების საკითხები და მათი სპეცტანსაცმლით სავალდებულოდ უზრუნველყოფის მექანიზმები;</u> - <u>სპეციალობის სპეციფიკის ეფექტური დემონსტრირებისა და სამუშაო გარემოს სწორად მოწყობის მიზნით, გადაიხედოს სასწავლო/სამუშაო სივრცეების არსებული განლაგება, კერძოდ, საწავლო პოლიგონზე განთავსებული სახელობო ინსტრუმენტები დახარისხდეს სამუშაო სპეციფიკის მიხედვით და განთავსდეს თაროებზე;</u> - <u>შედგეს საინფორმაციო შეხვედრა მასწავლებლებთან სასწავლო პროცესის გამართულად უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების ჩართულობით, რათა განემარტოს მასწავლებლებს აღნიშნული თვითქმედებების (სასწავლო პროცესის მენეჯერთან შეთანხმების გარეშე სასწავლო სივრცის შეცვლის) არაკანონზომიერების საკითხი.</u> - <u>სასურველია, სამომავლოდ კალენდარულ გეგმასთან ერთად, მასწავლებლებმა შეიმუშაონ გაკვეთილის გეგმებიც, სადაც ასახული იქნება საკონტაქტო საათზე განსახილველი თემატიკა, პრაქტიკული აქტივობები და მათთვის განსაზღვრული დრო.</u>	
4. შეფასების კითხვარების ანალიზი - ვალიდაციის კითხვარი	
შეფასების ინსტრუმენტების ფორმები ადეკვატურია, მათში გაწერილია შეფასების მიმართულება, შეფასების ინსტრუმენტი და მტკიცებულება, რომლებიც შეესაბამება მოდულში მითითებულ მტკიცებულებებს, ყველა მიმდინარე შეფასება ჩატარდა კოლეჯში პირისპირი მეთოდით, შეფასების ინსტრუმენტების ვალიდურობას ადასტურებს შემფასებელი/ვალიდატორი, თუმცა შეფასების მტკიცებულებები საჭიროებს შინაარსობრივ კორექტირებებს. სწორედ ამ მიზნით, ხარისხის სამსახურის მიერ კოლეჯში დაინერგა ვერიფიკაციის პროცესი და შერჩევით 4 პროგრამის 12 მოდულზე შედგა ვერიფიკაციის დასკვნა.	შიდა ვერიფიკაციის/ვალიდაციის ფორმები, ვერიფიკაციის დასკვნები
5. პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებით დაწესებულებაში ჩატარებული ღონისძიებების/აქტივობების ანალიზი	
- გაწერილია სასწავლო პროცესზე დასწრების/მონიტორინგის გეგმა თარიღებისა და პასუხისმგებელი პირების მითითებით; - განსაზღვრულია პროგრამის შიდა მხარდაჭერაზე პასუხისმგებელი ჯგუფი, - მოდულის განმახორციელებელი მასწავლებლების უმეტესობა მონაწილეობდა მოდულური პროგრამების შემუშავების პროცესში ან მოდულური პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სახის ტრენინგებში;	პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებით დაწესებულებაში ჩატარებული ღონისძიებების/აქტივობების დამადასტურებელი მასალა

- სასწავლებელს ძირითადად აქვს პროგრამების განხორციელებისთვის აუცილებელი დამხმარე ჩანაწერებით განსაზღვრული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, - პროგრამები უზრუნველყოფილია საჭირო სახარჯი მასალებით სტუდენტების რაოდენობისა და ნორმატივების გათვალისწინებით, (განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი); - შემუშავებულია სასწავლო პროცესის სახარჯი მასალებით უწყვეტად უზრუნველყოფისა და დახარჯული მასალების აღიცხვიანობის მექანიზმი; - შემუშავებულია მიმდინარე მოდულებზე კალენდარული გეგმები, მიმდინარეობს მათი შესწავლა და შედარება მოდულებში გაწერილ თემატიკასთან და კრედიტებთან მიმართებაში; - მასწავლებლები აწარმოებენ მტკიცებულებების პორტფოლიოს, სადაც ინახება სტუდენტების საბოლოო შეფასებების მტკიცებულებები და აბარებენ სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტს 3 წლის ვადით დასაარქივებლად; - ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ, ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის მიზნით, მუსავდება ***ხარისხის მართვის მენეჯერის სამუშაო გეგმა,*** განახლდა რეგულაციები, კერძოდ ‘სსიპ კოლეჯი მოდუსის ხარისხის მართვის მექანიძმები“ რომელშიც გაწერილია ხარისხის კონრტოლის პროცედურები კერძოდ, სწავლების ხარისხის შემოწმების ძირითადი და დამხმარე პროცესები, მიმდინარე სასწავლო პროცესზე დაკვირვება /მონიტორინგის პროცესი და სწავლების ხარისხით კმაყოფილების შეფასების პროცესი პასუხისმგებლი პირებით და თანდართული შემოწმების ფორმებით. - შეფასების ვალიდაციის ფორმა; - საკონტაქტო საათზე დასწრების კითხვარი; - კითხვარი მასწავლებლისათვის; - კითხვარი სტუდენტებისათვის; - პროფესიული მასწავლებლის საქმიანობის შეფასების კითხვარი; - სსიპ კოლეჯი „მოდუსი“ვერიფიკაციის დასკვნის ფორმა - ადმინისტრაციის კითხვარი - კურსდამთავრებულთა კითხვარი; - დამსაქმებლის კმაყოფილების კითხვარი - მომზადება/გადამზადების პროგრამის დასრულებული სწავლის შედეგ/ებ/ის კმაყოფილების	

კვლევის კითხვარი; - კოლეჯის ხარისხის ჯგუფის ინიციატივით ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები, ტრენინგები, სადაც განხილული იქნა კალენდარული გეგმების შევსების, მოდულური პროგრამების სწავლების სპეციფიკისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების მეთოდოლოგია, შუალედური და დასკვნითი შეფასების ორგანიზებასა და ინსტრუმენტების შემუშავების მეთოდოლოგია, ასევე მოკლევადიანი პროგრამების შემუშავების მექანიზმები და პროფესიული სტუდენტების მიერ დადასტურებული შეფასების მიხედვით შექმნილი მტკიცებულებების ელექტრონულად დაარქივების საკითხები როგორც რუსთავის ისე მარნეულის პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის.	
6. რეკომენდაციები პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებით	
<u>მიგნებები:</u> - *<u>ხარისხის ჯგუფის შეფასებით ყველაზე რთული მაინც არის შეფასების ინსტრუმენტების მომზადება ინტეგრირებული მოდულებისთვის და შეფასების ვერიფიკაციის განხორციელებაა;</u>* - *<u>პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ სწავლების მრავალფროვანი ინტერაქტიული მეთოდების და თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების სიმჩირე;</u>* - *<u>პროფესიული სტუდენტების დასწრების მაჩვენებლის მკვეთრად დავარდნა განსაკუთრებით მარნეულში, რაც მოითხოვს სტუდენტებთან და/ან მათ წარმომადგენლებთან საინფორმაციო შეხვედრების დაგეგმვას და განხორციელებას;</u>* - *<u>სტუდენტური აქტივობების ნაკლებობა, სტუდენტური სერვისების მენეჯერის საქმიანობის გააქტიურების აუცილებლობა.</u>* - *<u>ვერიფიკაციის პროცესში პროფესიული განათლების მასწავლებლების დაგვიანებული უკუკავშირი</u>* ***<u>რეკომენდირებულია:</u>*** - ***<u>დაიგეგმოს და ჩატარდეს შეხვედრები კოლეჯის საქმიანობისა და სამომავლო გეგმების გაცნობის მიზნით, როგორც მასწავლებლებტან ისესტუდენტებთან;</u>*** - ***<u>მოდულური სწავლების ეფექტიანად წარმართვის მიზნით, პროფესიული მასწავლებლების, განსაკუთრებით, ახალი მასწავლებლების დამატებითი ტრენინგი პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებისა და შეფასების ინსტრუმენტების გაუმჯობესების მიმართულებით;</u>***	

<u>ინტეგრირებული სწავლების ეფექტიანად წარმართვის მიზნით, დანერგვის სპეციალისტების მოწვევა და მასწავლებლებისა და კოლეჯის ადმინისტრაციის დატრენინგება ინტეგრირებული მოდულების სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიაში;</u> <u>პროფესიული განათლების მასწავლებლების დატრენინგება სწავლების მეთოდოლოგიაში, განსაკუთრებით მრავალფროვანი ინტერაქტიული მეთოდების და ციფრული კომპეტენციების გამოყენების მიმართულებით;</u> <u>ცატარდეს საინფორმაციო შეხვედრა ვერიფიკაციის პროცესის მნიშვნელობაზე და ასევე დაიგეგმოს შეხვედრები ახალ პედაგოგებთან მათი ინფორმირებისა და საჭიროებების გამოვლენის მიზნით.</u> <u>სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირების მიერ სტუდენტთა დასწრების მაჩვენებლის ამაღლების მიზნით, საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, პროფესიულ სტუდენტებთან და/ან მათ წარმომადგენლებთან;</u> <u>სამშენებლო მიმართულების პროგრამების განმახორციელებლებთან უმოკლეს პერიოდში შედგეს საინფორმაციო შეხვედრა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტების და სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის მენეჯერის ჩართულობით, სადაც განხილული იქნება სტუდენტთა უსაფრთხოების საკითხები და მათი სპეცტანსაცმლით სავალდებულოდ უზრუნველყოფის მექანიზმები;</u> <u>სტუდენტური აქტივობების დაგეგმვა - განხორციელება, პროფესიული სტუდენტური კავშირის საქმიანობის გააქტიურება და/ან ფორმატის შეცვლა ასევე შეძლებისაგვარად სტუდენტური სერვისების ინტერნაციონალიზაცია, საერთაშორისო პროექტებში სტუდენტების ჩართვის მიზნით, სხვადასხვა საჭირო აქტივობების დაგეგმვა.</u> <u>საინფორმაციო შეხვედრა მასწავლებლებთან სასწავლო პროცესის გამართულად უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების ჩართულობით და განემარტოს მასწავლებლებს თვითქმედებების არაკანონზომიერების საკითხი (უნებართვოდ გაკვეთილების ცხრილის გადანაცვლება, აუდიტორიების შეცვლა, ერმანეთის ჩანაცვლება და ა.შ);</u> <u>სასურველია, სამომავლოდ კალენდარულ გეგმასთან ერთად, მასწავლებლებმა შეიმუშაონ გაკვეთილის გეგმებიც, სადაც ასახული იქნება საკონტაქტო საათზე განსახილველი თემატიკა, პრაქტიკული აქტივობები და მათთვის განსაზღვრული დრო.</u> <u>სასურველია დაიწყოს პროფესიული სტუდენტების მიერ დადასტურებული შეფასების მიხედვით შექმნილი მტკიცებულებების ელექტრონულად დაარქივება პრფესიული განათლების მასწავლებლების/პროგრამის ხელმძღვანელების მიერ.</u>	

სსიპ კოლეჯ „მოდუსის“ ხარისხის მართვის მენეჯერის 2023 წლის წლიური ანგარიში

<u>გაეცნოს აღნიშნული ანგარიში კოლეჯის ადმინისტრაციას და პროფესიული განათლების მასწავლებლებს.</u>	

ანგარიშის შევსების თარიღი: _____29.12.2023.